

საქართველოს

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამომცემი

გამომცემი 1957 წლიდან

№10(249) დეკემბერი, 2011 წ. www.tsmu.edu

გზი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის ადმინისტრაცია,
აკადემიური და წარმომადგენლობითი
საბჭოები, სტუდენტური
თვითმმართველობა და დედა გოგა-
ასულწელს გილოცავთ სტუდენტებს,
პროფესორ-მასწავლებლებს,
თითოეულ თანამშრომელს, სრულიად
სამხრეთველს სამედიცინო
საზოგადოებას და გისურვებთ
ჯანმრთელობას, სასურველი მიზნების
და ოცნებების განხორციელებას,
დოვლათ-ბარძაბას, კეთილდღეობას და
მშვიდობას, მრავალშაჰიერ!



გილი ოცენ studentები



გილია კიდევ ერთი წელი დროის არჩარებულ მაჯისცემაში. და ველით ახალს... ახალი კი ყოველთვის უფრო უკეთესთან, ბედნიერთან, იმედისმომცემთან ასოცირდება. ახდენილი ოცნებების წელი იწყებაო, – ყოველი ახალი წლის დადგომას სიმღერით ვეგებებით და ოცნებების ახდენის იმედიც მუდმივად თან დაგვყვება. იმედები კი აბა როგორ შეიძლება ახალი თაობის გარეშე წარმოვიდგინოთ...

ამჯერად იმ ახალგაზრდებს გავესაუბრეთ, რომლებიც სტუდენტური ცხოვრების შუაგულში დგანან, ერთგვარ ამინდს ქმნიან და მნიშვნელოვან პროცესებს წარმართავენ ამ თვალსაზრისით – ვცადეთ უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელობისგან მოგვესმინა როგორი იყო გასული 2011 წელი მათთვის და რა განწყობით, როგორი გეგმებით

თუ სურვილებით ხვდებიან დამდეგ 2012 წელს.

ამავე თემაზე გაგვიზიარებს თავის სურვილებს და მოსაზრებებს მედიცინის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი გიორგი ჩანგაშვილიც, რომელიც რუბრიკით – „შემოქმედი სტუდენტები“ – უკვე გავაცანით ჩვენს მკითხველს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის გუნდის სახელით შობა-ახალ წელს ვულოცავ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს!

სტუდენტური თვითმმართველობის გუნდი ახალი სასწავლო წლიდან ახალი ღონისძიებებით და საინტერესო პროექტებით კიდევ უფრო დატვირთულ დღეებს გპირდებით. მოეწყობა როგორც შემეცნებითი, ისე გასართობი ღონისძიებები; პრიორიტეტულ საკითხად კვლავ რჩება საერთაშორისო ურთიერთობები, უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელთან კონტაქტების გაღრმავება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა სტაჟირებებს



და გაცვლითი პროგრამების განხორციელებას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ შობა ახალ-წელს! ბედნიერების, წინსვლის და გამარჯვებების წელი ყოფილიყოს ჩვენი ქვეყნისა და უნივერსიტეტისთვის!

გიორგი სორიძე, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

მინდა მივესალმო და დამდეგი შობა-ახალი წელი მივულოცო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტობას და „სამედიცინო გაზეთის“ ერთგულ მკითხველს.

ვისურვებდი ახალი წელი ჩვენი უნივერსიტეტისთვის ფეხბედნიერი და კვალებდნიერი ყოფილიყოს.

ბედნიერებაა, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა გვაქვს ერთიერთობა გვექონდეს საუკეთესო პედაგოგებთან, რომელთა წვლილიც დიდია მედიცინის განვითარებაში; ვისწავლოთ მათგან ღირებული და ფასეული, ავიღოთ საუკეთესო ჩვევები მათი გამოცდილებიდან, რომელიც აუცილებლად დაგვემარება პროფესიულ საქმიანობაში.

2011 წელი გამორჩეული იყო სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში. ვისურვებდი ის გეზი, რაც სამედიცინო უნივერსიტეტსა და სტუდენტურ თვითმმართველობას აქვს აღებული, 2012 წელს გაგრძელდეს და კიდევ უფრო მეტად გაძლიერდეს ყოველდღიური

შრომა ქვეყნის სასიკეთოდ. თითოეული წვერი ჩვენი გუნდისა ცდილობს მრავალფეროვანი გახადოს სტუდენტური ცხოვრება. ვცდილობთ სტუდენტთა ინტერესებიდან გამომდინარე დავეგეგმოთ სხვადასხვა თემატიკის პროექტები: სასწავლო-სამეცნიერო ღონისძიებები,

მომავალი წელი ჩვენი ქვეყნის, უნივერსიტეტისა და თითოეული ჩვენგანისთვის. ვულოცავ ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური პროფესიის წარმომადგენლებს ახალ წელს: უფლის შეწევნით და მისი მაღლით დიდხანს გვეკეთებინოს კეთილი საქმე საზოგადოებისთვის. ერთ-



საქველმოქმედო აქციები, ფესტივალები, სპორტული შეჯიბრებები და ა.შ. თითქმის ყველა საფორმის ვცდილობთ ჩვენი სიტყვა ვთქვათ.

ახალ, 2012, წელს სტუდენტური თვითმმართველობა უამრავ სიახლეს და თავდაუზოგავ შრომას გპირდებით. წარმატებების, მშვიდობის და ერთიანობის წელი ყოფილიყოს

მანეთის სიყვარულით, შრომითა და თავდადებით გვეშენებინოს ახალი ერა სამედიცინო უნივერსიტეტის ცხოვრებაში.

ნატა ბიაშვილი, სტუდენტური თვითმმართველობის განათლების და მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, სრულიად საქართველოს ახალი, 2012 წლის, შემობრძანებას მივულოცავ. უფლის ნებით ეს წელი თითოეული ჩვენგანისთვის ყოფილიყოს სიყვარულის, სიხარულის და ბედნიერების მომტანი.

განსაკუთრებული წინსვლა და წარმატებები მინდა ვუსურ-

ვო ჩემს კოლეგებს, რომელთა შრომის შედეგაც, პროფესიიდან გამომდინარე, პირდაპირპროპორციულად აისახება ჩვენი ქვეყნის წინსვლასა და წარმატებაზე.

უფალი შეგვეწყოს და გვფარავდეს!

მიხეილ დიაკონიძე, სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტსა და თანამშრომელს მინდა დამდეგი 2012 წელი მივულოცო.

შეიძლება ითქვას, რომ გასული 2011 წელი წარმატებული იყო როგორც პირადად ჩემთვის, ისე, ვფიქრობ, ზოგადად, უნივერსიტეტის სტუდენტობისთვის.

ბოლო რამოდენიმე წელია სტუდენტური თვითმმართველობის გუნდი ძალ-ღონეს არ იმურებს იმისთვის, რომ უნივერსიტეტში რაც შეიძლება

მეტი სამეცნიერო, სპორტული თუ გასართობი ღონისძიება ჩატარდეს.

მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტის რექტორატს, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს სტუდენტთა ინიციატივების ხელშეწყობისთვის, ხოლო სტუდენტებს – სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ჩართულობისთვის.

იმედი მაქვს, ახალი, 2012 წელი, კიდევ უფრო მეტად ნაყოფიერი და წარმატებული იქნება

თითოეული ჩვენგანისთვის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს და ბედნიერებას. 2012 წელი ყოფილიყოს ყველა ჩვენთაგანისთვის მშვიდობისა და წარმატების მომტანი.

მარი ხანიკაივი, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი

2011 წელი ჩემთვის ძალიან წარმატებული იყო მრავალი თვალსაზრისით: მონაწილეობა მივიღე უნივერსიტეტის მიერ მოწყობილ არაერთ ღონისძიებაში. კერძოდ, კონცერტებში, საქველმოქმედო ღონისძიებებსა და სტუდენტურ დღეებთან დაკავშირებულ გამოფენებში; გასულ ზაფხულს გამოვიყენე შანსი, გავიუმჯობესე შედეგები უნარებში და მივიღე უნივერსიტეტში სწავლის 100%-იანი საგრანტო დაფინანსება; ბევრისმომცემი გამოდგა ჩემთვის სასწრაფო დახმარების განყოფილებაში მორიგედ ერთთვიანი მუშაობა, რამაც კიდევ ერთხელ დამარ-

წმუნა პროფესიული არჩევანის სისწორეში. 2011 წელს, პირველად სამედიცინო უნივერსიტეტში, მოენყო საფორტეპიანო განყოფილების სტუდენტთა კლასიკური მუსიკის კონცერტი, სადაც შევასრულე ორი ნაწარმოები ფორტეპიანოს თანხლებით ფლეიტაზე, 21 დეკემბერს კი მონაწილეობა მივიღე თსუ-ის მოლექულური სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტისა და სტუდენტური სამეცნიერო კვლევითი კლუბ „მეგი“-ის მიერ ორგანიზებულ რიგით XVIII სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში, სადაც გავაკეთე პრეზენტაცია თემაზე: „ღეროვანი უჯრედები“. კონფერენ-

ციაზე გამართულ ვიქტორინაში გაიმარჯვა ჩვენი უნივერსიტეტის გუნდმა.

მთელი წელი შემოქმედებითი თვალსაზრისით დატვირთული და წარმატებული მქონდა. ხშირად ვაქვეყნებ პუბლიკაციებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში. მომავალ წელს სურვილი მაქვს მონაწილეობა მივიღო სტუდენტთა გაცვლით საზაფხულო პროგრამაში გამოცდილებისა და ცოდნის ამაღლების მიზნით.

მინდა ჩემი საყვარელი გაზეთის – „სამედიცინო გაზეთის“ – კოლექტივს, მის მკითხველებს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პროფესორ-მასწავლე-

ბლებს და სტუდენტებს მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი.

ჩემს საყვარელ უნივერსიტეტს კი ვუსურვებ ცეცხლოვანი დრაკონის წელიწადი ყოფილიყოს მჩქეფარე, სიცოცხლით სავსე და კიდევ

უფრო ნაყოფიერი სამეცნიერო თუ შემოქმედებითი თვალსაზრისით.

გიორგი ჩანგაშვილი, მედიცინის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი

ჩვენი მხრიდან ახალ წელს ვულოცავთ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებს და, ზოგადად, ახალგაზრდებს. სურვილების თუ ოცნებების ახდენის წელი იყოს მათთვის და ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან სწორედ მათ ნებაზე, მონდომებასა და ძალისხმევაზე ბევრად და მოკიდებული ქვეყნის წინსვლა და განვითარება. ნოვაცია, პროგრესი თუ განახლება ის ორიენტორია, საითაც მუდმივად უნდა იყოს მათი მზერა მიმართული და შეძლონ კიდევ უფრო მეტი, ვიდრე წინამორბედმა თაობებმა. ეს ბუნებრივიცაა, საჭიროც და აუცილებელიც, რადგან „ის ურჩევნია მამულსა...“ მოამზადა ნატო ბოლქვაძემ

Tanamedrove mecnierul i miRwevebiT


განსაკუთრებულია ქართველ ექიმთა წარმატებები სამედიცინო ასპარეზზე. ისინი, მედიცინის სადღესო თუ სამომავლო პრობლემებს შეჭიდებულნი, აღიარებას აღწევენ საერთაშორისო სარბიელზე და უმნიშვნელოვანეს სიტყვას ამბობენ მედიცინის ამა თუ იმ მიმართულებით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური ანატომიის მიმართულების ბაზაზე წარმატებით მოღვაწეობენ პროფესორები ზურაბ კაკაბაძე და ეკატერინე ბერიშვილი, რომელთა კვლევების ინტერესს წარმოადგენს ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციის დანერგვა კლინიკურ პრაქტიკაში ლეიძლის ქრონიკული და მწვავე უკმარისობების დროს, ასევე, პირველი და მეორე ტიპის დიაბეტისა და ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის ეფექტური მეთოდების შემუშავება ქსოვილოვანი ინჟინერიის

გამოყენებით.

ქართული პათოლოგანატომიური სკოლის ღირსეული წარმომადგენელი გახლავთ გულისა ტურაშვილი, რომელიც ევროპისა და ამერიკის აღიარებულ სამედიცინო ცენტრებსა და უნივერსიტეტებში წარმატებულ სამედიცინო-კვლევით საქმიანობას ეწევა. უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდა ქართველი მედიკოსის მიღწევები მოლეკულურ ონკოლოგიურ პათოლოგიაში, რაც, გულისას, უდაოდ, წარმატებული სამედიცინო პერსპექტივის მანიშნებელია.

ბედნიერი შობა-ახალიწელიწადი გვინდა ვუსურვოთ ჩვენს მეცნიერებს, გამარჯვებები და წინსვლა არ მოჰკლებოდეთ, მრავალ აღმოჩენათა ავტორები გამხდარიყვნენ, ახალი სიტყვა ეთქვათ თანამედროვე სამედიცინო მეცნიერების განვითარებაში!



კლინიკური კვლევის საუკეთესო შედეგები

მაიამმა (აშშ) „უჯრედული ტრანსპლანტაციისა და ქსენოტრანსპლანტაციის საერთაშორისო საზოგადოების გაერთიანებულ კონგრესს“ უმასპინძლა, სადაც მსოფლიო მედიცინის გამორჩეული მეცნიერები შეიკრიბნენ.



საქართველოდან კონგრესს ოფიციალურად ესწრებოდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური ანატომიის მიმართულების სრული პროფესორი ზურაბ კაკაბაძე და კლინიკური ანატომიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ბერიშვილი. ამ გაერთიანებულ შეკრებაზე ეკატერინე ბერიშვილი ხელმძღვანელობდა ბიონიშენიერისა და ბიომასალის სესიას, პროფესორი ზურაბ კაკაბაძე – უჯრედული ბანკებისა და ტექნოლოგიების სესიას.

ქართველმა მეცნიერებმა კონგრესზე ორი მოხსენება წარადგინეს: „ძვლის ტვინის მონონუკლეოზული უჯრედების აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია, დეკომპენსირებული ციროზით დაავადებულ პაციენტებში“, და „წვრილი ნაწლავის ვასკულარიზებული სეგმენტის, როგორც ალტერ-

განხილულ იქნა 2010 წელს 13 პაციენტზე (4 პაციენტი – ლეიძლის დეკომპენსირებული ციროზით, 9 – გულის ქრონიკული უკმარისობისა და კორონარული არტერიის დაავადებით), ჩატარებული კვლევის კლინიკური შედეგები, რომელნიც ერთი წლის განმავლობაში ექიმების ყურადღებისა და დაკვირვების ობიექტს წარმოადგენენ და ყველა მათგანი თავს კარგად გრძობს. მხოლოდ ერთ პაციენტში არ აღინიშნა კლინიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ლეიძლის ციროზით დაავადებულ პაციენტებში ინტრაარტერიულმა ტრანსპლანტაციამ ალბუმინის დონე სისხლში ნორმას მიუახლოვა, პრო-

ჯობესება, მისი ზომების მნიშვნელოვანი შემცირება და ანგიოგენეზი.

კონგრესის მონაწილეთა დიდი დაინტერესება გამოიწვია პროფესორ ეკატერინე ბერიშვილის მოხსენებამ, რომელიც შაქრიან დიაბეტს შეეხებოდა. დიაბეტი უკუჩვენებული ქრონიკული დაავადებაა, რომელიც თითქმის ნახევარ მსოფლიოს მოიცავს. ცნობილია მეთოდმა, რომელიც ლანგირჰანის კუნძულების ტრანსპლანტაციისას ლეიძლში კარის ვენიდან ხდება დამაკმაყოფილებელი შედეგი ვერ აჩვენა. ინსულინო-ამოკიდებულება პაციენტებში ვერ მოიხსნა, გარდა ამისა მათ მთელი



თრომბინის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა, ბილირუბინის მაჩვენებლები გაუმჯობესდა, ციროზის ხარისხი შემცირდა და ეს შედეგები დღემდე სტაბილურია.

ცხოვრების მანძილზე იმუნოსუპრესანტები ესაჭიროებათ. ორი დონორის საჭიროების საკითხმა იჩინა თავი, რაც გარკვეულწილად მთელ რიგ პრობლემებს ჰქმნის. ქალბატონი ეკატერინე მთელი დიაბეტის მკურნალობაში წარმოდგენილმა მოხსენებამ კონგრესის მონაწილეთა მონონება დაიმსახურა და მსოფლიოს დიაბეტის კვლევითი ცენტრების ხელმძღვანელების, ცნობილი მეცნიერების მიერ გამოითქვა ერთობლივი მუშაობის სურვილი.

პროფესორი ე. ბერიშვილის მიერ დიაბეტის პრობლემის ახლებური გადაჭრა მდგომარეობს შემდეგში: მოძებნილ იქნა, ტრანსპლანტაციის ახალი ადგილი – ნაკლები უჯრედების ჩანაცვლებით მაქსიმალური ეფექტის მიღებისა. ვირთაგვებზე წარმოებულმა ექსპერიმენტულმა კვლევებმა კარგი შედეგები აჩვენა. კერძოდ, ლორწოვანისაგან გამოთავისუფლებული ნაწლავის სეგმენტში მოთავსდა კრიტიკული რაოდენობის ღეროვანი უჯრედები, მათმა ტრანსპლანტირებამ დადებითი შედეგი გამოიღო, ქართველი მეცნიერის მიერ დიაბეტთან ახლებური მდგომარეობის მეთოდი ახალი სიტყვაა და მას სამომავლოდ კლინიკაში დანერგვის პერსპექტივა გააჩნია.

მაიამში ჩატარებულ მსოფლიო კონგრესში მონაწილეობა ნაყოფიერი აღმოჩნდა ქართველი მეცნიერებისთვის, მათმა მოხსენებებმა მონაწილეთა მონონება და დაინტერესება დაიმსახურა, დამყარდა საქმიანი კონტაქტები მედიცინის სხვადასხვა დარგში მოღვაწე უცხოელ ექსპერტებთან, დაისახა ერთობლივი მუშაობის სამომავლო გეგმები, ამ დარგის განვითარებისა და წინსვლისთვის.

მანანა ფხალაძე.

STagonebis wyaro - mecniereba

ქართული პათოლოგანატომიური სკოლიდან მსოფლიო ასპარეზზე



გულისა ტურაშვილი – ქართული პათოლოგანატომიური სკოლის შესანიშნავ ტრადიციათა ღირსეული განმგრძობი...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტში, პროფესორ გიორგი ბურკაძის რეზიდენტი ხდება; მალე ჩეხეთში, ევროპის აღიარებულ – პალაცის უნივერსიტეტში აგრძელებს პროფესიულ დასტატებას, ინგლისის ბრმინგჰემის უნივერსიტეტთან კოლაბორაციით, იცავს სადოქტორო დისერტაციას ძუძუს კიბოს ჰისტოპათოლოგიურ კლასიფიკაციაში გენური ექსპრესიის პროფილის გამოყენების შესახებ, კერძოდ, ძუძუს ნორმალური დუქტური და ლობულური უჯრედებისა და ინვაზიური დუქტური და ლობულური კარცინომის გენომური პროფილის შედარების საფუძველზე შეისწავლის ძუძუს კარცინომებისა და ჰისტოგენეზის მოლეკულურ საფუძველებს.

2007 წლიდან გულისა კანადაში, კერძოდ, ვანკუვერში, სადაც კანადური სამედიცინო მეცნიერული კვლევათა ინსტიტუტის ორწლიანი დაფინანსება მიიღო – „კლინიცისტი მეცნიერები მოლეკულურ ონკოლოგიურ პათოლოგიაში“, რასაც მოჰყვა ახალგაზრდა მეცნიერის არაერთი წარმატებული პროექტი ბრიტანული კოლუმბიის ონკოცენტრსა და ბრიტანული კოლუმბიის უნივერსიტეტში, რეფერირებადი პუბლიკაციებითა და სამეცნიერო პრეზენტაციებით. წელს ისევ რეზიდენტურა პათოლოგიაში, კინგსტონში, ონტარიოში, ქინისის უნივერსიტეტში, სადაც

რთული საგამოცდო ბარიერის გადალახვის შემდეგ, ანატომიურ პათოლოგიაში ტრენინგის დაწყებამდე, გულისა გადის ერთწლიან ინტერნატურას სხვადასხვა კლინიკურ სპეციალობაში.

აქტიური სამედიცინო-კვლევითი საქმიანობა ევროპისა და ამერიკის აღიარებულ სამედიცინო ცენტრებსა და უნივერსიტეტებში ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის მზარდი ავტორიტეტისა და, უდაოდ, წარმატებული სამედიცინო პერსპექტივის მანიშნებელია.

...შორიდან, ალბათ მეტად შესამჩნევია აქაურობის შუქჩრდილები, რაც განსაკუთრებულად აღიქმება ჩვენს თანამემამულეთა მიერ, რომელთა გამორჩეული საქმიანობა და წარმატებული სვლა საერთაშორისო სარბიელზე მშვენიერი წინაპირობაა იმისთვის, რომ მათი სამშობლოც ისეთივე აღიარებული და წარჩინებული გახდეს, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყანა, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ამისთვის განსაკუთრებული ნიჭი არსებობს და ახალგაზრდული შემართებაც უზღვევია. მსგავსი წარმატებების წინაპირობა კი საქართველოში დაბრუნების შემდეგ უცხოეთში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებაა.

დარეჯან კომლაძე



„ბავშვთა და მოზარდთა მედიცინა - IV“

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩვენი უნივერსიტეტის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის მიმართულების, ი. ფალავას სახელმწიფო პედიატრიის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის, ბავშვთა და მოზარდთა ჯანდაცვის ასოციაციის, საქართველოს პედიატრთა ასოციაციისა და ფონდი „სიჯანსაღეს“ ეგიდით ჩატარდა ტრადიციული სამედიცინო-პრაქტიკული კონფერენცია „**ბავშვთა და მოზარდთა მედიცინა - IV**“ – (საორგანიზაციო კომიტეტის წევრები: გ. აბაშიძე, ქ. ბერიძე, ნ. გელაძე, ი. კორინთელი, ნ. მანჯავიძე, ლ. ჟორჯოლიანი, დ. ტაბუცაძე, ნ. უბერი, ი. ფაველნიშვილი, ყ. ფალავა (თავმჯდომარე), რ. ქარსელიანი, თ. ყურაშვილი).

კონფერენცია გახსნა თსუ-ის რექტორის მოადგილემ, ბატონმა **გ. აბაშიძემ**, მისალმებებით გამოვიდნენ პროფესორები **ა. კვეზერელი-კოპაძე**, **ი. ციციშვილი**.



კის ბავშვებში. **ნ. ცხაკაიას** და **მ. ჩიქოვანის** მოხსენებაში „BCG-ვაქცინაცია - თანამედროვე ხედვა“ გამოთქმული იყო მოსაზრება აღნიშნული ვაქცინაციისადმი მეტი სიფრთხილის მიზანშეწონილობის შესახებ. თანამომხსენებელმა **თ. გვასალიამ** წარმოადგინა ეპიდემიოლოგიური მასალები, რომელთა თანახმადაც, იმ წლებში, როდესაც საქართველოში BCG-ვაქცინაცია სათანადოდ არ ტარდებოდა, ტუბერკულოზის მძიმე ფორმების არსებით გახშირებას ჰქონდა ადგილი. მოხსენებათა ძირითადი ნაწილი ეხებოდა სხვადასხვა დაავადების

კური ღირებულება ბავშვებსა და მოზარდებში (**გ. ჩახუნაშვილი**, **მ. შვანიტაძე**, **ნ. ჯობაძე**, **თ. გოგოტიშვილი**), ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომი ბავშვთა ასაკში (**ბ. ზენაიშვილი**, **მ. ცანავა**, **თ. აბულაძე**, **დ. კვიციანი**, **გ. ჩიტაია**), „ლიპიდური დარღვევები პედიატრიულ პოპულაციაში (ენდოკრინოლოგის თვალთახედვით)“ (**ი. ფალავა**).

რ. მაზმანიშვილმა წარმოადგინა ინფორმაცია „ჰუმანა“-ს ინოვაციური ფორმულების (კერძოდ, „**ჰუმანა-პლატინის**“ და „**ჰუმანა-ანტიკოლიკის**“) შესახებ ჩველ ბავშვთა კვებაში. **ე. ზერეკიძემ** ისაუბრა ბიორეგულაციური პრეპარატებზე სუბოხტორიების სახით: „**ვიბურკოლი**“ (დამამშვიდებელი), „**სპასკუპრელი**“ (ანტისპაზმური პრეპარატი), „**ფიბერ-ზეხენი**“ (ანტიპირეტიკი). **ლ. ჟორჯოლიანმა** საზოგადოებას წარუდგინა ახალი საბავშვო ნატურალური მინერალური წყალი „ბახმარო — კავკასიური წყარო“.

ყ. ფალავამ მოხსენებაში – „**ანტიბიოტიკის შერვის ოპტიმიზაცია ეფექტურობის გარანტიის**“ – გაამახვილა ყურადღება ფარმაკოკინეტიკის გათვალისწინების მიზანშეწონილობაზე პერორალური ანტიბიოტიკოთერაპიის დანიშნისას, განხილული იქნა დისპერგირებადი ტაბლეტიზირებული ანტიბიოტიკების ფლემოქსინ სოლუტაბის (ამოქსაცილინი), ფლემოკლავ სოლუტაბის (ამოქსაცილინი/კლავულანტი) და ვილპროფენ სოლუტაბის (ჯოზამიცინი) ინოვაციური ტექნოლოგია. იუვენული იდიოპათიური ართრიტის მაგალითზე (**ყ. ფალავა**, **თ. კუტუბიძე**) ნაჩვენები იყო ქრონიკული აუტოიმუნური დაავადებების მკურნალობის თანამედროვე მიდგომები. მსმენელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ი. ფაველნიშვილის მოხსენებამ „**ბავშვებში ძალადობა და ბავშვის უგულვებლყოფა. თანამედროვე მიდგომები**“.

კონფერენციის დასასრულს, ჩატარდა კონკურსი სადაგნოსტიკო გამოცანებში, გამარჯვება ექიმ-რეზიდენტს **თამარ კაჭარავას** მიენიჭა. ღონისძიებას თითქმის ორასი ექიმი დაესწრო, როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან. გამოცანა კონფერენციის მასალები - მოხსენებების სრული ტექსტები (რედაქტორი **ყ. ფალავა**, თანარედაქტორები **ნ. მანჯავიძე**, **ლ. ჟორჯოლიანი**).

სამედიცინო-პრაქტიკული კონფერენციები „ბავშვთა და მოზარდთა მედიცინა“ ჩვენი ქვეყნის პედიატრიული საზოგადოებრივობისთვის ტრადიციული, ფრიად საინტერესო და სასარგებლო შეხვედრებად იქცა.

პროფესორი **ყარამან ფალავა**



კონფერენცია დაიწყო სიმპოზიუმით სამედიცინო შეცდომების შესახებ. წარდგენილი იყო შემდეგი მოხსენებები: „**სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი სამედიცინო საქმიანობის აღსრულებისას**“ (იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **ნ. გვენეტაძე**), „**საკეიმიო შეცდომა პედიატრიაში (ბ. კილასონია, რ. ბერიძე)**“. შეტყობინებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

კლინიკური მოხსენებები თანამედროვე პედიატრიის მრავალ საკითხს ეხებოდა. **მ. კიკვიციანი** ისაუბრა ცეტირიზინის (ტერინის) როლზე ალერგიული დაავადებების (პირველ რიგში, ალერგიული რინიტის) მკურნალობაში. **ი. კორინთელმა** მსმენელთა ყურადღება გაამახვილა ამბულატორიულ პრაქტიკაში რესპირატორული დაავადებების რაციონალურ ანტიბიოტიკოთერაპიაზე თანამედროვე ეტაპზე, კერძოდ, ამპიცილინ/სულბაქტამის (ამპისილის) ეფექტურობაზე. მოხსენებაში – „**კიდევ ერთხელ პრობიოტიკების შესახებ**“ **ყ. ფალავამ** ხაზგასმით ისაუბრა პრობიოტიკების ადგილზე დაავადებათა ფართო სპექტრის დროს, დანერგვებით განიხილა პრობიოტიკების უპირატესობები ადრეული ასა-

თუ სინდრომის მართვის თანამედროვე გადღიანებას ავტორთა გამოცდილებისა და პირადი შეხედულებების გათვალისწინებით: ბრონქული ასთმის მართვის ძირითადი პრინციპები ბავშვებში (**ლ. ჟორჯოლიანი**, **რ. ქარსელიანი**), კოჭლობა ბავშვებში (**თ. კუტუბიძე**), ტკივილის შეფასება და მართვა ბავშვებში (**მ. ჩხაიძე**, **ც. ფარულავა**, **ყ. ფალავა**), სპლენომეგალიის ალგორითმი პედიატრიულ პრაქტიკაში (**მ. კვეზერელი-კოპაძე**, **ა. კვეზერელი-კოპაძე**, **ზ. მთვარელიძე**), მწვავე გასტროენტერიტის მართვის თანამედროვე რეკომენდაციები (**ც. ფარულავა**, **მ. ჩხაიძე**), ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტიურობის სინდრომი (ADHD) და მისი მართვა (**ნ. გელაძე**, **ნ. ხაჭაპურიძე**, **ს. ბახტაძე**, **ნ. კაპანაძე**), მსტვინავი სუნთქვა ბავშვებში (**ნ. უბერი**, **ე. უბერი**), თანდაყოლილი ჰიდრონეფროზი - დიაგნოსტიკა, მართვა (**გ. ჩიტაია**, **ნ. კვიციანი**, **ნ. ჩიტაია**), სმენის დაქვეითების პრობლემა სკოლამდელი ასაკის ბავშვებში (**თ. დევიდარიანი**, **ქ. გოგბერაშვილი**, **მ. მანჯავიძე**), ანტიპლემნოთური მკურნალობის თანამედროვე მიმართულებები (**ი. კოკაია**), არითმიისა და მიტრალური სარქველის პროლაფსის დიაგნოსტიკის კლინი-

2011 წლის 21 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტთან არსებულმა სამედიცინო კლუბმა „მეგ“-იმ („მომავალი ეკუთვნის გენეტიკას“) ჩაატარა ზამთრის პოპულარულ-შემეცნებით-შემოქმედებითი XVIII კონფერენცია.

კონფერენცია გაიხსნა მოხსენებებით, რომლებიც ეხებოდა სამედიცინო გენეტიკის აქტუალურ საკითხებს. მეორე ნაწილში ჩატარდა ვიქტორინა, მესამე ნაწილში კი გაიმართა დებატები ლეროვანი უფრედების გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. დებატებში მონაწილეობდნენ **თსუ-ის** და სამედიცინო სკოლა **აიეტის** სტუდენტები. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე პოსტერები, როგორც ქართულენოვანი ასევე ინგლისურენოვანი სტუდენტების მიერ.

დებატ-კლუბის მუშაობას კოორდინაციას უწევდნენ თსუ-ის მესამე და მეხუთე კურსის სტუდენტები **თამარ ქვარცხავა**, **ანა სუხიაშვილი**, **ქეთი კანკავა** და **თამარ კვარაცხელია**, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ცდილობდნენ დახმარებოდნენ კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებს სამედიცინო მუშაობაში. არჩეულ იქნა კლუბ „მეგ“-ის ახალი პრეზიდენტი, II კურსის სტუდენტი **რ. ლაშქარაშვილი**.



ლი და ვიქტორინა - ნ. ბენდელიანი.

მოწილებების გამოსვლებს აფასებდა კომპეტენტური ჟიური: თსუ-ის სრული პროფესორი **რუსუდან რუხაძე**, **თინათინ ჩიქოვანი**, **ირინა კვაჭაძე**, **ლია კიკალიშვილი**, ილიას უნივერსიტეტის სრული პროფესორი **აივანგო შათირიშვილი** და სამედიცინო სკოლა აიეტის სრული პროფესორი **დოდო ბარამიძე**.

ჟიურის თავჯდომარემ, პროფესორმა რუსუდან რუხაძემ აღნიშნა, რომ კლუბ „მეგ“-ის მიერ ჩატარებული კონფერენციები ყოველთვის გამოიჩენდა თავისი ინოვაციებით.

პროფესორ თინათინ ჩიქოვანის აზრით, ასეთი ღონისძიებები სტუდენტებს აძლევს საშუალებას

დანერგვით შეისწავლონ რომელიმე კონკრეტული თემა და მოიძიონ ბაზისური და უახლესი ინფორმაცია არსებული საკითხის ირგვლივ. გარდა ამისა, სტუდენტები ზემოხსენებულ თემებზე მუშაობისას ითვისებენ მოხსენებისა თუ პოსტერის პროფესიულ დონეზე მომზადების უნარ-ჩვევებს. ეს კონფერენციები სტუდენტებს აჩვენებს წარმართონ დისკუსიები ამა თუ იმ თემაზე და დაეუფლონ პროფესიული პაექრობის ხელოვნებას.

ილიას უნივერსიტეტიდან მოწვეულმა სტუმარმა აივანგო შათირიშვილმა აღნიშნა, რომ პირველ და მეორე კურსის სტუდენტებს შორის გამართული პოლემიკა და კამათი მიმდინარეობდა მაღალ ექსპერტულ დონეზე, სტუდენტები ფლობდნენ საკმაოდ ინფორმაციას, რაც მათ საშუალებას აძლევდათ თამამად ეკამათათ ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე.

დასასრულს, პროფესორმა **ელენე აბზიანიძემ**, რომელიც ტრადიციულად, სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სტუდენტთა სამედიცინო კონფერენციების ორგანიზატორია, მადლობა გადაუხადა დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებს და ღონისძიების მონაწილე ყველა სტუდენტს. მან აღნიშნა, რომ ჩვენი დეპარტამენტის მიზანი ყოველთვის ერთი - სტუდენტებმა სამედიცინო გენეტიკის აქტუალურ



რი და პრობლემური საკითხების საჯარო განხილვისას მოხსენებები მემკვიდრული დაავადებების მოლეკულური მექანიზმების შესახებ მხოლოდ უახლესი ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე გააკეთონ. დისკუსიების, დებატებისა და პოსტერების ფორმით წარმოდგენილი პროგრამული თემების მოხსენისას კიდევ ერთხელ დაეწინაურდნენ, რომ იმედისმომცემი ახალგაზრდები გვყავს.

სტუდენტებმა თავიანთ გამოსვლებში ბევრი იმსჯელეს მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის მნიშვნელობაზე თანამედროვე ექიმად ჩამოყალიბების პროცესში. მათი აზრით, ერთი მხრივ, მემკვიდრული დაავადებების მოლეკულური მექანიზმების გარკვევა და, მეორე მხრივ, მაღალი ტექნოლოგიების განვითარება იძლევა საიმედო პროგნოზს მრავალი პათოლოგიის მკურნალობისთვის.

გიორგი ჩანგაშვილი, მედიცინის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი

ნატუროთერაპია ურთულესი დაავადებების სამკურნალოდ

ქართველი მედიკოსების ხანგრძლივი თავდაუზოგავი კვლევებით შეიქმნა მცენარეული კომპლექსი - **მელბერინ-500**, **ტაბრონი**



და **ჰეპაკარდი**, რომლებიც, ამასთან, მრავალსაუკუნოვანი ხალხური და აკადემიური მედიცინის მიღწევათა შერწყმის შედეგად შეიქმნა. სამივე პრეპარატი ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო და მაღალეფექტური ნატურალური სამკურნალო და საპროფილაქტიკო საშუალებაა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ექსპერიმენტული და კლინიკური გამოკვლევების შედეგებმა ამ პრეპარატების გამოხატული სიმსივნის საწინააღმდეგო, ანტიმეტასტა-

ზური, ანტიალერგიული და დეტოქსიკაციური მოქმედება აჩვენა. პრეპარატების შემადგენლობაში შემავალი მცენარეები უძველესი დროიდან გამოიყენებოდა მსოფლიო ხალხების ტრადიციულ სამედიცინო პრაქტიკაში და ამიტომ თანამედროვე მედიცინა მათ ინტენსიურად იკვლევს - იბერიული მუხა და ყურძენი, მატიტელა, აბზინდა, შირბაბტი, კოთახური და მრავალ სხვა, მათში თითქმის საგანგებოდაა თავმოყრილი ანთების, სიმსივნის, ალერგიის საწინააღმდეგო მოქმედების მქონე ნივთიერებები, რომლებიც ავსებენ და აძლიერებენ ერთმანეთს, ამიტომ გამოხატული სიმსივნის და ალერგიის საწინააღმდეგო ეფექტით ხასიათდებიან. ყველა ამ ნივთიერების მიმართ კიბოს უჯრედების უმრავლესობას მაღალი მგრძობელობა აქვს. ეს არის ნატურალური, სრულიად უვნებელი, ანთების, სიმსივნის და ალერგიის საწინააღმდეგო ნატურალურ-მცენარეული კოქ-

ტილი. მსოფლიოს არაერთი ნამყვანი კლინიკურ-ექსპერიმენტული ცენტრის მიერ წარმოებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ **ტაბრონის**, **ჰეპაკარდის** და **მელბერინ-500**-ის შემადგენელი კომპონენტების კომბინაცია შორსნასული ავთვისებიანი სიმსივნეების დროსაც კი, სულ მცირე, 50%-ით ამცირებს პროცესის აგრესიულობას, მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს სიცოცხლეს და აუმჯობესებს მის ხარისხს, არ გააჩნიათ არავითარი გვერდითი მოქმედება, უფრო ეფექტური, აქვთ დეტოქსიკაციური ეფექტი, მნიშვნელოვნად ამცირებს ქიმიური და სხივური თერაპიის გვერდით მოვლენებს და აძლიერებენ ანტისიმსივნური მკურნალობის ეფექტურობას. წარმატებები გვინდა ვუსურვოთ ჩვენს მეცნიერებს, ბედნიერ შობა-ახალ წელს და იმედების გამართლებას ვუსურვებთ!

iSviaTi daavadebebi

ედღენება თსსუ ცენტრალური კლინიკის ქირურგიული დეპარტამენტის ორდინატორის, ცნობილი ქირურგის ვახტანგ (დათო) ქორიძის (1939-2008) სსოვნას

ნანლაპური დისფუნქცია სკლეროდერმიის დროს

სკლეროდერმია, ანუ სისტემური სკლეროზი, მიეკუთვნება შემარბივებელი ქსოვილის სისტემურ დაავადებათა ჯგუფს, რომელიც ხასიათდება პროგრესირებადი ფიბროზით, გავრცელებული ვასკულოპათიით (მათგან მათგან მთავარი მიკროანგიოპათიით), რასაც მოჰყვება გენერალიზებული რეინოს სინდრომი, კანის ინფორაციული, შინაგანი ორგანოების (ფილტვების, გულის, თირკმელების და კუჭ-ნაწლავის) დაზიანება. ქალები ავადდებიან 7-ჯერ უფრო ხშირად, ვიდრე მამაკაცები. საქართველოში 1998-2011 წლებში გამოვლენილია სკლეროდერმიის 213 შემთხვევა (პროფესორი დ. ქართველიშვილის პერსონალური მონაცემები, 2011.). ამჟამად სკლეროდერმიის დროს ყველაზე ხშირად ახსენებენ მის ერთ-ერთ კლინიკურ ვარიანტს, ე.წ. CREST სინდრომს. ეს არის

სინდრომის დიაგნოზი. ჩატარდა მკურნალობა პრედნიზოლონით, ტრენტალით, ასკანის თიხით, ალმაცელით, პრეპროტიკებით დამაკმაყოფილებელი შედეგით - შეუწყდა დიარეა, განავალი გაფორმდა და დეფეკაცია გახდა ვოლუნტარული (ანუ უნებლიე შეუკავებლობა მოიხსნა), ავადმყოფს დაურბილდა კანი, შეუმცირდა რეინოს სინდრომის მოვლენები, ასევე ტელეანგიექტაზიები, ყლაპვა გაუადვილდა. ერთი წლის შემდეგ ავადმყოფმა თვითნებურად შეწყვიტა მკურნალობა პრედნიზოლონით და სხვა პრეპარატებით, ამას მოჰყვა დიარეის და განავლის შეუ-


ერაციიდან ორი კვირის შემდეგ მდგომარეობა არის დამაკმაყოფილებელი. ავადმყოფს ამპულატორიულად უტარდება პრედნიზოლონით მკურნალობა, აგრეთვე ტრენტალით უკეთდება შეხვევები. (ს. ლალიაშვილი, გ. ელაშვილი, 2011 წ.). 62 წლის მამაკაცს (ვაკვირდებოდა 2011 წლის სექტემბერ-ნოემბრის თვეში) ჰქონდა ნიღბისებური სახე, ტელეანგიექტაზიები, სისხლდენით, კანის გამკვრივება ხელზე, სახეზე, კისრის რიგიდობა, დისფაგია. რენტგენოგრაფიით - გამოხატული ფილტვების ფიბროზი, კალციზაცია იყო აღინიშნული (ს. ლალიაშვილი, გ. ელაშვილი, 2011 წ.).

შეუკავებლობა (ჭარბი საკვების და სითხის მიღებისთანავე). ამ შემთხვევაში მკურნალობა ტრენტალით, ალმაცელ-А-ით, პრედნიზოლონით, კალციუმის არხის ბლოკერებით (ნიფედინით) იყო დამაკმაყოფილებელი (გვაცნობა ტელეფონით). 68 წლის მამაკაცს (ნ. ხაინდრავა, ხ. პაჭკორია, 1987 წ.) ჰქონდა ორივე ხელის ნეკა თითების ფიბროზი კონტრაქტურით (დიუპიტრენის ტიპის) აღსანიშნავია, რომ მამამისს მსგავსი მდგომარეობის გამო გაუკეთებია ოპერაცია (მოუკვეთია მონარლი თითები), რადგან მუშაობაში ხელს უშლიდა (ყოფილა

ნიშნები) და სხვა. ამ სიმპტომების საფუძველზე, ეჭვი მიტანილი იყო სკლეროდერმიაზე. საყლაპავის კიბოს გამოიციხვის მიზნით, გაკეთდა კუჭ-ნაწლავის რენტგენოგრაფია, გამოცდილმა რენტგენოლოგმა მედიკო შავგულიძემ (1979 წ.), დეტალური გამოკვლევით, დასვარიგადილი საყლაპავის დიაგნოზი და კატეგორიულად გამოიციხა ავთვისებიანი სიმსივნე. ყოველივე ამის საფუძველზე, ავადმყოფს დაესვა სკლეროდერმიის დიაგნოზი, დაენიშნა პრედნიზოლონი, კურანტილი, სპაზმოლიტიური საშუალებები, ანტაციდები. შედეგი დადებითი აღმოჩნდა: ავადმყოფს მოეხსნა უმძიმესი დისფაგია, გაუადვილდა თხელი, შემდეგ კი მკვრივი საკვების მიღება, ორი კვირის შემდეგ, გაუმჯობესებულ მდგომარეობაში გაენერა ბინაზე, სადაც აგრძელებდა მკურნალობას პრედ-



სკლეროდერმიით დაავადებული 65 წლის მამაკაცი. სურათზე კარგად ჩანს ნიღბისებური სახე, ტელეანგიექტაზიები სახეზე, შუბლსა და ენაზე და დიუპიტრენის კონტრაქტურა. „ვირთის ნაკუნის“ სიმპტომი მარცხენა ტერფის I თითზე, მარცხენა მტევნის I თითის ლატერალური მცირე წყლული; 2007 წ.



იგივე ავადმყოფი ამპუტირებული ფეხით. სურ. 9: ამპუტირებული ტერფის ბიოპტატი H/E X100 მცირედ გამოხატული ლიმფოციტური ინფილტრაცია - დერმის სკლეროზი. სურ.10: H/E X100 - არტერიოლის სანათურის სრული ობლიტერაცია (ცენტრში). სურ.11. H/E X200 - ვასკულიტი. სურ.12. პიკროფუქსინი H/E X400 - არტერიოლის სრული ობლიტერაცია (ცენტრში). (ი.თავზარაშვილი, მ.ჩხაიძე, 2011).

აბრევიატურა, სადაც C არის კალციონი, R - რეინოს ფენომენი, E - ეზოფაგუსი (საყლაპავი), S - სკლეროდაქტილია, ხოლო T - ტელეანგიექტიზია. ჩვენ, ავტორთა კოლექტივმა, 1979 წლიდან 2011 წლის ჩათვლით, სტაციონარის და ამბულატორიის პირობებში, გამოვავლინეთ სკლეროდერმიის დროს CREST სინდრომის 15 შემთხვევა - ავადმყოფთა ასაკი მერყეობდა 35-დან - 71 წლამდე: ქალი - 12, მამაკაცი - 3; დაავადების ხანგრძლივობა რამდენიმე თვიდან - 5 წლამდე. ქვემოთ მოკლედ მოგვყავს სკლეროდერმიის დამახასიათებელი შემთხვევების აღწერა: პირველ სურათზე გამოსახულია ამჟამად 65 წლის მამაკაცი, რომელიც 4 წლის წინ თსსუ ცენტრალური კლინიკის ამბულატორიულ დეპარტამენტში შემოვიდა მძიმე დიარეის (მალაბსორციის სინდრომის) და იმპურატული დეფეკაციის, ზოგჯერ ფეკალიების შეუკავებლობის ჩივილებით. დახვედრით ყურადღებას იპრობდა ტელეანგიექტაზიები სახეზე, ენაზე (სისხლდენის ეპიზოდებით), კალციონი ხელის თითებზე, ნეკროზი თითის ბალიშზე (ე.წ. ვირთის ნაკუნის სიმპტომი). პალპაციით კანი გამკვრივებული იყო სახეზე, ხელის მტევნებზე და იდაყვის დისტალურ მონაკვეთზე. ავადმყოფის სახე იყო ამიმიური (ნიღბისებური). მარცხენა ფეხის ცერა თითზე, ლატერალურ ზედაპირზე აღენიშნებოდა 2 სმ დიამეტრის დაჩირქებული წყლული. ავადმყოფს ჰქონდა დისფაგია და რეინოს სინდრომისთვის დამახასიათებელი ნიშნები. ავადმყოფს დაესვა სკლეროდერმიული CREST სინდრომის, ფეკალიების შეუკავებლობის და მალაბსორციის

კავებლობის რეციდივები. თავის ტვინში განუვითარდა გარდამავალი იშემია. ავადმყოფს კვლავ დაენიშნა პრედნიზოლონი, ტრენტალი, ასკანის თიხის პრეპარატები, ვიტამინები და სხვა. შედეგი კვლავ იყო დამაკმაყოფილებელი. 2011 წლის ივლისის თვეში ავადმყოფის მდგომარეობა კვლავ გაუარესდა - განუახლდა ფეკალიების შეუკავებლობა, დიარეა, სისხლდენა სახიდან (ტელეანგიექტაზიებიდან), ფეხის ცერა თითის დანყლულებები, დაჩირქება გაიზარდა. ავადმყოფს ჩირქოვანმა ქირურგმა სოსო ლალიაშვილმა ჩატარა ქირურგიული მკურნალობა პრედნიზოლონითერაპიის ფონზე დამაკმაყოფილებელი შედეგით. 2 თვის შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა კვლავ გაუარესდა, გაუმჯობესდა მარცხენა ტერფის პირველი თითი და განგრენის დიაგნოზი გაუკეთდა მისი ამპუტაცია ნალენჯისის რაიონული საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში. ამის შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა კვლავ პროგრესულად უარესდებოდა, განგრენე გადავიდა მეორე თითზე და ამ მდგომარეობაში იგი მოთავსდა თსსუ ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ემერჯენსში, სადაც ქირურგებმა ს. ლალიაშვილმა და გ. ელაშვილმა გაუკეთეს მარცხენა ფეხის ამპუტაცია ბარძაყის შუა მესამედის დონეზე სასიცოცხლო ჩვენებით 14. 12. 2011 წ. ოპ-

გულის სარქველოვანი აპარატის კალციონი და ფიბროზი. ამჟვე ავადმყოფს ჰქონდა კანის ფიბროზი (დადასტურებული ბიოპტატის პოსტმორფოლოგიური გამოკვლევით - ი.თავზარაშვილი, 2011), რეინოს სინდრომი, სუნთქვის გაძნელება, საყლაპავის რიგიდობა (დისფაგიის ფონზე) და განავლის შეუკავებლობა. ავადმყოფს დაუდგინდა სკლეროდერმია, CREST სინდრომი და ფეკალიების შეუკავებლობა. ჩატარდა მკურნალობა პრედნიზოლონით, ტრენტალით, ასკანის თიხის პრეპარატებით (ბენტოლით, ნეოსობით), ალმაცელ-А-ით, პრეპროტიკებით. მდგომარეობა გაუმჯობესდა - დაურბილდა კანი, მოძრაობა კისრის მიდამოში გაუადვილდა, მოუნესრიგდა ნაწლავის მოქმედება - განავალი გაფორმდა, რაც მთავარია, დეფეკაცია არ იყო უნებლიე. მოკლედ, ავადმყოფს შეუწყდა ფეკალიების შეუკავებლობა და ამჟამადც აგრძელებს მკურნალობის კურსს. მესამე შემთხვევა: 67 წლის ქალს (ნ. ბასიშვილი, ხ. პაჭკორია, 2009 დეკემბერი) გამოხატული ჰქონდა ტელეანგიექტაზიები სახეზე, ენაზე რეინოს სინდრომი, დისფაგია, ამიმიური სახე, კალციონი იდაყვის რბილ ქსოვილზე, დადასტურებული რენტგენოგრაფიით (თ. შათირიშვილი, ნ. ალიბეგაშვილი, მ. ჯაფარიძე, 2009). ავადმყოფს პერიოდულად ჰქონდა ფეკალიების

დურგალი. ამ ავადმყოფს ჰქონდა დისფაგია, შეკრულობა, კანის გამკვრივება, ხელისგულების ფიბროზი, რეინოს სინდრომი. პრედნიზოლონით მკურნალობაზე მან უარი განაცხადა. მისი შემდგომი ბედი უცნობია. დასასრულ, შევხებით სკლეროდერმიული CREST სინდრომის ერთ კურიოზულ შემთხვევას, როცა ავადმყოფს, უმძიმესი დისფაგიის გამო, დაესვა საყლაპავის კიბოს დიაგნოზი (1979წ.). ავადმყოფმა უარი განაცხადა ოპერაციაზე და დახმარებისთვის მიმართა რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს გასტროენტეროლოგიურ განყოფილებას, სადაც ყურადღება მიაქციეს ავადმყოფის ნიღბისებურ, სრულიად ამიმიურ სახეს, კანქვეშა ცხიმოვანი და სხვა ქსოვილების პრაქტიკულად სრულ განლევას (ძვლის და ტყავის სიმპტომი). გამოხატული იყო ტელეანგიექტაზიები სახეზე, გულმკერდზე, კანი ხელის და ფეხის თითებზე იყო ფიცრისებური კონსისტენციის, გაქვავებული. გამოხატული იყო ნეკროზი თითების ბალიშებზე (ვირთის ნაკუნის სიმპტომი), დეტალური გამოკითხვით დადგინდა, რომ ავადმყოფს აწუხებდა ართრალოგიები, შეკრულობა, ხელის დაბურვება, თითების ტკივილები, გაფითრება, გალურჯება (რეინოს სინდრომისთვის დამახასიათებელი

ნიშნები). ავადმყოფი, პროფესორი ე. ადამიას ძალისხმევით, გაიგზავნა მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის შინაგანი მედიცინის და პროფესიულ დაავადებათა კლინიკაში, აკადემიკოს ე. ტარეევთან, სადაც პროფესორმა ნ. გუსეევამ სავესებით დაადასტურა ქართველი ექიმების დიაგნოზი, რაც გაიზიარა აკადემიკოსმა ე. ტარეევმა. ავადმყოფს გაუგრძელდა მკურნალობა პრედნიზოლონით, რომლითაც იგი 16 წელი მკურნალობდა (გარდაიცვალა მიოკარდიუმის ინფარქტით). ამრიგად, ჩვენ მიერ გამოვლენილი სკლეროდერმიით დაავადებული 15 პაციენტიდან ფეკალიების შეუკავებლობა (სხვადასხვა სიმძიმის) აღენიშნებოდა 4-ს, რაც შეადგენს 26,6%-ს. ეს პაციენტები სწორედ განავლის შეუკავებლობას განიცდიდნენ ყველაზე მძიმედ, რადგან უსაამოვნო სუნისა და ტანსაცმლის დასვრის გამო ერთდროულად ბინიდან გასვლას და საზოგადოების თავშეკრის ადგილებში ყოფნას გაურბოდნენ. გამოვლინარე ზემოაღნიშნულნიდან, საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება ფეკალიების შეუკავებლობაზე სკლეროდერმიის დროს. აღნიშნული გართულება ყველაზე მეტად თრგუნავს ავადმყოფის ფსიქიკას. დასასრულს სკლეროდერმიის დროს აბრევიატურა CREST-ს, ფეკალიების შეუკავებლობის შემთხვევაში, დაერთოს ნისნარით FI (Fecal Incontence), რაც აისახება საბოლოო დიაგნოზში FI-CREST Syndrome.

ხ. პაჭკორია, ი. თავზარაშვილი, ე. ადამია, ს. ქემოკლიძე, ნ. ბასიშვილი, თ. შათირიშვილი, ს. ლალიაშვილი, გ. ელაშვილი, მ. ჩხაიძე,

თსსუ ცენტრალური კლინიკა

განუული დახმარებისთვის რეკომენდებულია უხიდან რეკომენდებული ცენტრს, პირადად, პროფესორ დოდო ქართველიშვილს, ასევე, თსსუ ცენტრალური კლინიკის ამბულატორიულ სამსახურს, პათანატომიის და რენტგენოლოგიის დეპარტამენტების ხელმძღვანელებს.

iubilar

ნახევარი საუკუნე – ნახევარი მსოფლიო



სათაურად გამოტანილი სიტყვები სრულად მისადაგება თსსუ-ის სპორტის და ხელოვნების ცენტრის დირექტორის მოადგილის, ეროვნული და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატის, ბატონი ბადრი მაჭავარიანის მიერ განვილი გზას. ასე ხატოვანად შეუფასებია მისი საქმიანობა თსსუ-ის სტუდენტს – თაკო დევიძეს და ასეთივე გახლდათ სახელწოდება 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებისა, რომელიც უნივერსიტეტის „წითელ დარბაზში“ გაიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ თსსუ-ის ხელმძღვანელობა, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, სუბივილების ლეგენდარული თაობის წარმომადგენლები, თსსუ-ის ანსამბლის სხვადასხვა თაობა, მაჭავარიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები, იუბილარის ოჯახის წევრები, მეგობრები და ახლობლები.

საღამო იუბილარის ცხოვრების და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალის გამოყენებით წარმართა. ენაწყლიანი წაყვანები, თეატრ-სტუდია „ჰიგას“ მსახიობები: თაკო ბაღურაშვილი და თაზო თამაზაშვილი შთამბეჭდავად და საინტერესოდ მოუთხორობდნენ პუბლიკას ბატონ ბადრიზე – ბავშვობიდან დღემდე. ბავშვობამ კი მართლაც ლაღად და უშფოთველად ჩაიარა გამორჩეულად ქართული კოლორიტის ქალაქში, ქუთაისში, გონებასახველი და ენამოსწრებული ქუთათურების გარემოცვაში. შემდეგ იყო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობა, ფარმაციის ფაკულტეტი, აქტიური სტუდენტური ცხოვრება... სწორედ მაშინ, 27 წლის წინ, 1984 წელს, თსსუ-ის სტუდენტები

შეიკრიბნენ, რათა ქორეოგრაფიული ნომერი დაედგათ ერთ-ერთი ღონისძიებისთვის. ოთხმა სტუდენტმა: ბადრი მაჭავარიანმა, გოგონია დათუკიშვილმა, გელა მეგლაძემ და დავით ქვეციშვილმა, რომელთაც

გამარჯვებებიც – ჩვენს თვალწინ თანდათან გაცოცხლდა როგორც ამ დროის, ისე მომდევნო პერიოდის ამსახველი კადრები და იმ ადამიანების ღვაწლი, რომელთა დამსახურებაც დიდი იყო ანსამბ-

ნარმატებასა და აღიარებაზე მეტყველებდა.

„კულტურის და ფოლკლორის ღმერთები“, – ასე შეაფასა ანსამბლი „ქართული ფოლკლორი“ რამდენიმე წლის წინ გერმანიის ქორეოგრაფიული ფესტივალის პრეზიდენტმა და გერმანიის სიოფის (იუნესკოს) გენერალურმა დირექტორმა, ბ-ნმა ვოლფგანგ ფოსმა.

დღეს უკვე ანსამბლში მერვე თაობა და ბ-ნი ბადრიც კვლავ ძველებური შემართებით აგრძელებს წლების წინ დაწყებულ დიდ საქმეს. სულ ახლახან იუნესკოს ეგიდით გამართულ ინგლისის ფესტივალზე, რომელშიც

ბების, ანსამბლ „ვეგას“, საფორტეპიანო კლასის სტუდენტების, ანსამბლ „შვიდკაცას“ საკონცერტო ნომრები.

სახელოვანი იუბილარს ღირსშესანიშნავი თარიღი მიულოცეს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ; საპატიო სტუდენტმა: მაჭავარიანთა საგვარეულოს წინამძღოლმა, ქალბატონმა თინათინ მაჭავარიანმა, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის პრეზიდიუმის წევრებმა, ლეგენდარულმა მოცეკვავეებმა: ომარ მხეიძემ და თინგიზ უთმელიძემ და ექიმმა ლადო კახაძემ.

სპორტის და ხელოვნების ცენტრის მისალოც წერილში, რომელიც ღონისძიებაზე გახმოვანდა, ნათქვამია: „თქვენ იმ ადამიანთა შორის ხართ, ვინც წარუშლელი კვალი ატოვებს ჩვენი უნივერსიტეტის კულტურულ ცხოვრებაში... თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი უღრმეს მადლობას გიხდით ერთგული და უღალატო სამსახურისთვის და კიდევ ერთხელ გულწრფელი პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს“.



ქორეოგრაფიული სკოლა ჰქონდათ გავლილი, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა ქორეოგრაფიულ ანსამბლს ჩვენი უნივერსიტეტში. მალე ბატონმა ბადრიმ მოიწვია ბ-ნი იუზა კუბლაშვილი, რომელიც მომღერალთა გუნდს ხელმძღვანელობდა, მოგვიანებით (1992 წლიდან) კი, მისივე მოწვევით, მომღერალთა გუნდს ხელმძღვანელობს



ლოტბარი დავით უზნაძე, რომელმაც ღირსეულად გააგრძელა დაწყებული საქმე. 2000 წელს ჩამოყალიბდა ვაჟ მომღერალთა გუნდი „ფესვი“, რომელიც საყოველთაო პოპულარობით სარგებლობდა არა მხოლოდ ჩვენს უნივერსიტეტში. ცოტა მოგვიანებით ანსამბლის შვიდმა წევრმა დააარსა ანსამბლი „შვიდკაცა“, რომლის ხელმძღვანელი გახლავთ თსსუ-ის ანსამბლში აღზრდილი დავით ნოზაძე.

დიდი შრომის და ძალისხმევით შემდეგ მოვიდა სერიოზული ლის წარმატებაში: უნივერსიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელობა – რექტორი: ბ-ნი რამაზ ხეცურიანი, პრორექტორები: ზურაბ ვადაჭკორია და გია ავალიშვილი. ამ პერიოდს უკავშირდება ანსამბლის პირველი წარმატებები უცხოეთის არაერთ ქვეყანაში. ანსამბლმა 10 წლის იუბილე ოქროს მედლით აღნიშნა, რომელიც 1994 წელს ბელგიაში გასტროლების დროს მოიპოვა. მედლები, ჯილდოები თუ დიპლომები არც შემდგომ წლებში დაკლებიათ, რაც ანსამბლის დიდ

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობდნენ, ჩვენი ანსამბლის წარმატებულმა გამოსვლამ პუბლიკა იმდენად მოხიბლა, რომ ანსამბლმა ფინალური გალა კონცერტის დახურვის საპატიო უფლება მოიპოვა.

საიუბილეო საღამოს ალამაზებდა უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის სიმღერის და ცეკვის სახალხო ანსამბლის, მომღერალ ქალ-ვაჟთა გუნდების, თეატრ-სტუდია „ჰიგას“ მსახიო-

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია სიამოვნებით უერთდება მისალოცო ტექსტის პათოსს და საიუბილეო თარიღს და ახალ წელს ულოცავს ბატონ ბადრის. უღვე წარმატებებს ვუსურვებთ მომავალშიც. გვჯერა, მიღწეული გამარჯვებებით კვლავ არაერთხელ გაახარებს როგორც სამედიცინო უნივერსიტეტის, ისე, ზოგადად – ქართული ფოლკლორის და კულტურის ურიცხვ თაყვანისმცემლებს!

ნატო ბოლქვაძე

kul tura

წარმატებები დაგეგმვით!

ჩვენი უნივერსიტეტის კულტურულ ცხოვრებას სრულად მოიცავს თუ წარმართავს თსსუ-ის

ტის კულტურის და ხელოვნების მესვეურთ. მათი ძალისხმევით და შრომით შედეგია, რომ ჩვენი უნი-



სპორტისა და ხელოვნების ცენტრის საქმიანობა, რომელიც მართლაც წარმატებით ფუნქციონირებს აგერ უკვე მერამდენე ათეული წელია. ვინ მოთვლის რამდენი წარმატებული გამოსვლით ისახელეს თავი სიმღერის და ცეკვის სახალხო ანსამბლმა თუ თეატრმა „ჰიგას“, ანსამბლმა „ვეგას“ თუ ახალმეცნილმა საფორტეპიანო კლასმა.

გამარჯვებები არც 2011 წელს დაჰკლებია ჩვენი უნივერსიტე-

ტის კულტურის და ხელოვნების მესვეურთ. მათი ძალისხმევით და შრომით შედეგია, რომ ჩვენი უნი-

ვერსიტეტი „სტუდენტური დღეები 2011“-ის გამარჯვებული გახდა. თეატრმა ჰიგასმ ცნობილი და პოპულარული „ქეთო და კოტის“ შემდეგ, ახლა უკვე 2011 წელს, ახალი სპექტაკლის („ომობანა“) პრემიერით გაახარა მაყურებელი. სპექტაკლმა სრული ანმლავით ჩაიარა და დიდი მოწონება დაიმსახურა.

წარმატებული გამოდგა 2011 წელი ანსამბლ „ვეგასთვისაც“: კონცერტები არა მარტო სამედი-



ცინო უნივერსიტეტში, არამედ თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში, მცხეთის კულტურის სახლში, კლუბ „ტრიუმფსა“ და „არტ-პოლი“ და ქვეყნის მასშტაბით გამართულ კიდევ არაერთ ღონისძიებაში.

თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრში უკვე ერთი წელია რაც დაარსდა საფორტეპიანო კლასი, რომლის პირველი კონცერტი 2011 წლის 12 დეკემბერს შედგა, სადაც ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები ცნობილ კლასიკოსთა ნაწარმოებების შეს-

რულებით წარდგინდნენ და მსმენელის ოვაციები დაიმსახურეს.

წარმატებული იყო სახალხო



ანსამბლის ხალხურ საკრავთა გოგონათა ჯგუფის გამოსვლა.

ყველა აქ ჩამოთვლილ ღონისძიებაში აქტიურად არიან ჩართულნი ჩვენი უცხოელი სტუდენტები.

დაბოლოს, როგორც ყოველთვის, წარმატებული იყო თსსუ-ის სიმღერის და ცეკვის სახალხო ანსამბლის გასტროლები უცხოეთში. ამჯერად ჩვენი უნივერსიტეტის მომღერალთა და მოცეკვავეთა

გუნდებმა კონცერტები გამართეს ინგლისში, ბელგიაში და საფრანგეთში და ფოლკლორული ფესტივალის დახურვის საპატიო მისია ხვდათ წილად. აღფრთოვანებული მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტამს ანსამბლის წევრებს.

ახალ წელს ვულოცავთ ხელოვნების დაუღალავ მსახურს და მესვეურთ, რომელთა როლიც განუზომელია ჩვენი უნივერსიტეტის კულტურული ცხოვრების მატეანეში. ვუსურვებთ კვლავ არაერთხელ ესახელებინოთ სამედიცინო უნივერსიტეტი არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარეთ.

ნატო ბოლქვაძე

didebul i adamiანი

მოგონებები მოქალაქეთა მოქალაქეებზე

„ფასს დასდებს ბოლოს ქვეყანა, ვისაც რამ დავითისია.“

ვაჟა

110 წელი შესრულდა დიდი ქართველი ქირურგის, აკადემიკოსი ეგნატე ფიფიას დაბადებიდან. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს სპეციალური სხდომა მიუძღვნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, რომელმაც კიდევ ერთხელ თვალნათლივ წარმოაჩინა დიდი ეგნატეს ფასდაუდებელი ღვაწლი ქართული ქირურგიის განვითარებაში.

ამ სახელოვან თარიღთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთი მკითხველს აწვდის ბატონი ეგნატე ფიფიას მონაწილე, ამჟამად ცნობილი ქირურგის, პროფესორ სულხან ქემოკლიძის მოგონებას იმ ურთიერთობაზე, რაც მასსა და მის მოძღვარს შორის არსებობდა.

მე-4 კურსზე სწავლისას მქონდა ბედნიერება დიდი ეგნატე ფიფიას შთამბეჭდავი ლექციების მოსმენის, მისი და მისი მოწაფეების ოპერაციებზე დასწრების და, ზოგჯერ, მონაწილეობისა. ბატონი ეგნატეს ხელდასმით ჩემ მიერ სტუდენტთა კონფერენციაზე, შემდეგში სტუდენტთა სამეცნიერო კრებულში გამოქვეყნებულმა შრომამ ჩამომიყალიბა სწორი და მყარი შეხედულება ნაწილობრივ ინტერმისიულ გაუვალობაზე, რამაც მომავალში განაპირობა, ამ მხრივ, ჩემ მიერ ჩატარებული ოპერაციების სასურველი შედეგები.

დიდმა ეგნატე ფიფიამ მე, ახალგაზრდა ასპირანტს, დამავალა საკმაოდ მძიმე ავადმყოფისთვის კანის ავტოტრანსპლანტაციის გაკეთება, რის შესახებაც სიხარულით მაცნობა პროფესორმა აკაკი თელიამ, რადგან სწორედ ბატონი აკაკისგან იცოდა ქართული ქირურგიის ამ დიდმა კორიფემ ჩემ მიერ ახალი კონსტრუქციის დერმატომის ათვისების შესახებ. ბატონი ეგნატეს დავალება წარმატებით შევასრულე, რაც ერთ-ერთი დაუფიქრებელი ჩემს პროფესიულ საქმიანობაში.

მასხოვს უდიდესმა კარდიოქირურგმა ნიკოლოზ ამოსოვმა, რომლის კარდიოქირურგიული კლინიკა მსოფლიო კლინიკათა ათეულში შედიოდა, თბილისში ჩამოსვლისთანავე ბატონი ეგნატესთან შეხვედრა მოითხოვა. ამოსოვის მასპინძლობა, როგორც თბილისის ქირურგთა საზოგადოების ერთ-ერთი მდივანს, პირადად დამევალა, ამიტომ ვესწრებოდი მათ შეხვედრას. „ეგნატე კალისტრატეს ძე ლორდია საბჭოთა ქირურგიის და ეს მარტო ჩემი კი არა, ჩვენი დელეგაციის თითოეული წევრის აზრითაცა,“ – რამდენიმეჯერ აღნიშნა ასე ბატონმა ნიკოლოზ ამოსოვმა ქართველ კოლეგაზე და მასთან საუბრობდა მორიდებულად, მოწინებით.

1976 წელი იყო. ურეკში ტარდებოდა საერთაშორისო სიმპოზიუმი ტრანსპლანტოლოგიის საკითხებზე. ბატონი ეგნატე სიამოვნებით დამთანხმდა ურეკში ჩემი მანქანით მგზავრობაზე. ვერ აღვწერ იმ პატივსა და დიდებას, რასაც იჩენდნენ დიდი ეგნატეს მიმართ. ზესტაფონის რაიონული საავად-

მყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგემ, ბატონმა თენგიზ რუსაძემ, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა ბატონი ეგნატესთან თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში, მიგვიწვია რესტორანში ეგნატე ფიფიას პატივისცემად საგულდაგულოდ გაშლილ სუფრაზე, სადაც დაგვხვდა ადგილობრივი ინტელიგენციის კოლორიტები. ზღაპრული პურმარილით, ქართული სიმღერებითა და იუმორით დამშვენებულ სუფრაზე განუხაზღვრელი სიყვარული და მოწინებება იყო ბატონი ეგნატეს მიმართ.

ურეკში კისიმპოზიუმის ყველა მონაწილე ცდილობდა პატივისცემის გამოხატვას დიდი ქირურგის მიმართ. აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა წინასწარ დაიჭირა თადარიგი ბატონი ეგნატესადმი შესაფერისი პატივის მისაგებად, რაზედაც დახმარებისთვის მეც მომმართა, რომელსაც შევთავაზე ბატონი ეგნატეს ნაყვანა სარფში, რადგან ეს ადგილი იმ დროისათვის სასაზღვრო ზონას წარმოადგენდა და იქ ჩასვლა მხოლოდ სპეციალური ნებართვით იყო შესაძლებელი. ბატონი ეგნატესგან ვოიაჟზე თანხმობის მიღების შემდეგ, მინისტრის მიერ გამოგზავნილი მანქანით და მალაჩინოსანი მესაზღვრის თანხლებით, გავემგზავრეთ სარფისკენ. პატივისცემის ნიშნად, უშუალოდ, საზღვართან მიგვიყვანეს. აქ საოცრება მოხდა – ბატონმა ეგნატემ ადგილობრივ მცხოვრებლებს ლაზურად დაუნყო საუბარი, რამაც მათში უდიდესი სიხარული გამოიწვია. მე კი ბატონმა ეგნატემ მითხრა: „ხომ დარწმუნდი, აქაც მეგრული ტომები არიან დასახლებული.“ ბატონი ეგნატე იყო უმაღლესი კომპენტენციის და ინტელექტის დასტაქარი, მიუკერძოებელი და ზედმინეებით ობი-

ექტური. 1973 წელს, ყოველგვარი კანონის, ეთიკური და მორალური ნორმების იგნორირებით, მოხდა თანამდებობრივად ჩემი დაქვეითება, რამაც ერთგვარ დეპრესიაში ჩამაგდო. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ბატონი ეგნატეს და ერთ-ერთი სხდომის დროს, ჩემდა გასაოცრად, განაცხადა: დარბაზში იმყოფება პერსპექტიული, ნიჭიერი ახალგაზრდა ქირურგი, რომელიც სრულიად უსაფუძვლოდ დაიჩაგრა, მაგრამ მწამს, რომ ყველაფერი გაირკვევა და სიმართლე აუცილებლად გაიმარჯვებსო. ვერ დავიჯერე, რომ ეს ჩემზე იყო ნათქვამი. მწარედ შევცდი, რადგან უნდა მეფიქრა, რომ დიდი კაცი პა-

თავისაზე ბევრად უკეთესი იყო და ყველაფერი გამოსწორდებოდა. ბატონი ეგნატეს კაბინეტიდან გამოსულს გამარჯვების რწმენა ჩამესახა. მართალია, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, მაგრამ ყველაფერი ჩემი გამარჯვებით დამთავრდა, გაუქმდა თანამდებობრივი დაქვეითების ბრძანება.

ბატონი ეგნატე ზოგჯერ საინტერესო ამბებსაც მიყვებოდა, მაგალითად; 7-8 წლისას მუხლები ასტეკენია, ამიტომ ბაბუამისს მისი ნაყვანა სოხუმში, ცნობილ ექიმბაშთან, გადაუნყვეტია. ბაბუა და შვილიშვილი ცხენით გამგზავრებულან. სოფელ სალხინოს გავლისას ბაბუას დაუნახავს

დებულ პრეპარატ „ისკადორს“, რამაც მისი მდგომარეობა საგრძნობლად გააუმჯობესა. ამ ფაქტმა მკვეთრად გაზარდა „ისკადორის“ პოპულარობა საქართველოში. თავიდანვე ეჭვი მეპარებოდა ბატონი ეგნატეს დაავადების დიაგნოზის სიზუსტეში იმის გამო, რომ მაღალი რანგის ექიმები, რადგან ისინი დარწმუნებული არიან საკუთარ დიაგნოზში, უარსაც კი ამბობენ გამოკვლევებზე. ის კი, ვინც გამოკვლევა უნდა ჩაატაროს, ექცევა ასეთი ავტორიტეტული ავადმყოფის გავლენის ქვეშ და ზოგჯერ სწორად ვერ აფასებს მიღებულ მონაცემებს, ვერ ეწინააღმდეგება მის მიერ დასმულ დიაგნოზს.

ბოლოს და ბოლოს ხომ დარწმუნდით სიმსივნე რომ არ გაქვთ-მეთქი, – ვუთხარი ბატონი ეგნატეს უკანასკნელი შეხვედრისას... თვალზე ცრემლი მოადგა და შემომხედა. მივხვდი ამაზე საუბრის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. იგი დარწმუნებული იყო იმ დიაგნოზის სიზუსტეში, რომელიც საკუთარ თავს თავადვე დაუსვა... სექციამ დაადასტურა, რომ ბატონი ეგნატე ფიფიას არ ჰქონდა ონკოლოგიური პათოლოგია.

არ შემიძლია არ შევეხო ბატონი ეგნატეს ძეგლთან დაკავშირებულ პრობლემას. ცნობილმა ქართველმა მოქანდაკემ კონსტანტინე მერაბიშვილმა შექმნა ბატონი ეგნატე ფიფიას ძეგლი, რომელშიც ბრწყინვალედ არის გადმოცემული არა მარტო გარეგნობა, არამედ ბატონი ეგნატეს ხასიათიც. ამაში ისინიც დამეთანხმებიან, ვინც ბატონი ეგნატეს იცნობდა. ეს ძეგლი ნამდვილად ქართული სკულპტურის ბრწყინვალე ნიმუშია და სამწუხაროა, რომ იგი შეუფერებელ ადგილას დგას. ამ აზრს იზიარებს სამედიცინო საზოგადოების უმრავლესობა. მეტად საშური საქმეა ძეგლისთვის შესაფერისი ადგილის გამოძებნა. პირადად ასეთ ადგილად მესახება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეზო, კერძოდ, ბატონი ივანე თარხნიშვილის ძეგლის მიმდებარე ტერიტორია.

ქედს ვიხრი ჩემი მოძღვრის, ბატონი ეგნატე ფიფიას, ხსოვნის წინაშე. ჩვენი ვალია თანამედროვე ახალგაზრდობას მოვუთხროთ ბატონი ეგნატესა და მის დარ დიდებულადამიანებზე, ისინი კი შემდგომ თაობებს მოუყვებიან მათ შესახებ და ასე უნდა გაგრძელდეს თაობიდან თაობამდე... ეს კი ჩვენი მხრიდან დიდებული ადამიანებისთვის აგებული ძეგლი იქნება და ისინი არასოდეს დაიკარგებიან...

სულხან ქემოკლიძე, პროფესორი, საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიური აკადემიის წევრი



ტარასგან სხვისი დახმარების სურვილითა და თანადგომის უნარით განსხვავდება. რამდენიმე დღის შემდეგ პროფესორმა აკაკი თელიამ მაცნობა, რომ ბატონი ეგნატე თავისთან მიბარებდა. მისი საუბარი ძირითადად ჩემს მდგომარეობას ეხებოდა. მსგავსი რამ თავისი ცხოვრებიდან მომიყვა, რომ კათედრის გამგე ნიკოლოზ კახიანი შეჰპირებია ორდინატურის დამთავრებისთანავე კათედრის ასისტენტად აყვანას, მაგრამ, სამწუხაროდ, ნიკოლოზ კახიანი უეცრად გარდაიცვალა. ახალმა კათედრის გამგემ ალუთქვა ბატონი ეგნატეს, რომ შეასრულებდა პროფესორ ნიკოლოზ კახიანის სურვილს და მის კანდიდატურას წარადგენდა კათედრის ასისტენტის თანამდებობაზე. დაახლოებით თვენახევრის შემდეგ ბატონმა ეგნატემ შემთხვევით გაიგო, რომ მისთვის შეპირებულ თანამდებობაზე სხვა დაინიშნა. მან კომუნისტური პარტიის წევრობით „აჯობა“ ბატონი ეგნატეს. იგი მესაუბრა ისეთ დეტალებზეც, რაზედაც საუბარი ათეული წლების შემდეგაც ნაადრევია და დამარწმუნა, რომ ჩემი მდგომარეობა

გზის პირას მდგარი ქალბატონი, რის გამოც ცხენიდან ჩამოქვეითებულა და ეგნატეც ჩამოუსვამს. მისალმებისა და ურთიერთმოკითხვის შემდეგ ქალბატონს ეგნატესთვის თავზე ხელი გადაუსვამს, მოჰფერებია, დაულოცავს. ის ქალბატონი სალომე დადიანი, ნაპოლეონის არმიის მარშალ მიურატის შვილიშვილის, აშელ მიურატის, მეუღლე ყოფილა. სოხუმელ ექიმბაშს, ეგნატეს გასინჯვის შემდეგ, ასეთი რჩევა მიუცია მისი ბაბუისთვის: ბავშვი არ ჩაესვათ ქვევრში და მუხლების ტკივილი გაუფლიდა. თურმე პატარა ეგნატეს და მის თანატოლებს ქვევრის ამოსარეცხად შიგ სვამდნენ. ბაბუამ გაითვალისწინა ექიმის რჩევა და მას შემდეგ ეგნატესაც მუხლი არ ასტკივია.

უკანასკნელად ბატონი ეგნატე ვნახე მაშინ, როცა ავადმყოფი ინვა თავის სამუშაო ოთახში. საზოგადოებაში გავრცელებული აზრით, იგი დაავადებული იყო ავთვისებიანი სიმსივნით. ცნობილი იყო ისიც, რომ იგი იღებდა შვეიცარიელი ბერების მიერ ავთვისებიანი სიმსივნის სამკურნალოდ მოწო-



Semodis 2012... 21-e saukunis me-12, Cveni gazeTis sailub- il eo, daarsebidan 55-e wl isTavis aRmniSvnel i wel i. diax, `samedicino gazeTma- naxevarsaukunovani istoria Semounaxa 80 wl is samedicino universitets, `samedicino gazeTma- gauZl o mraVal qartexil s..

Cveno Zvirfaso mkiTxvel o, respodento Tu koresponden- to, samedicino universitetis mesveurno, Zvirfaso pro- fesor-maswavl ebl ebo, TiToeul o TanamSromel o, `sa- medicino gazeTis- redaqcia didi siyvarul iT da siTboTi giI ocavT damdeg Soba-axal wel s! dagbedebodeT ocnebebi s axdena, bedni ereba da siyvarul i!

გზარავდით ღაკრთი!

xel ovneba

კლასიკური მუსიკის კონცერტი „ნითელ დარბაზში“



თსსუ-ის სპორტის და ხე- ლოვნების ცენტრთან არსე- ბული ანსამბლები თუ სახ- ელოვნებო ჯგუფები საყო- ელთაო პოპულარობით სარგე- ბლობენ არა მხოლოდ ჩვენს უნივერსიტეტში. სტუდენტებს თავიანთი ნიჭის გამოვლენის

ბახის, შტრაუსის, შუბერ- ტის, შოპენის, ჯოპლინის, გარდელის, ლოუველენდის, ლისტის, მენდელსონის, აზა- რაშვილის და სხვა ცნობილ კლასიკოსთა ნაწარმოებები უნივერსიტეტის სტუდენტებს: ანა არაბიძის, რეზი ლაშქარაშ- ვილის, ირაკლი გელენავას, გიორგი ჩანგაშვილის, ხათუნა ლობჯანიძის, შორენა კოჭლამა- ზაშვილის, მაია მიქიაშვილის ინ- ტერპრეტაციით აუღერდა.

ტორიის პედაგოგები, რომ- ლებმაც აღფრთოვანება ვერ დაფარეს თსსუ-ის სტუდენტების, არაპროფესიონალი ახ- ალგაზრდების, საშემსრულე- ბლო დონით და გამოთქვეს სურვილი მოენყოს გაცვლითი თუ ერთობლივი კონცერტები კონსერვატორიისა და სამედი- ცინო უნივერსიტეტის სტუ- დენტების მონაწილეობით, რაც ერთი მხრივ, სტიმული იქნება როგორც მომავალი ექიმების, ისე - მუსიკოსებისთვის მეტად

როგორც საფორტეპიანო



შესაძლებლობა ეძლევათ ხე- ლოვნების არაერთ სფეროში. ბოლო დროს ცენტრში ჩამოყ- ალიბდა საფორტეპიანო გან- ყოფილებაც (ხელმძღვანელი - გოდერძი ჩიტაიშვილი), სადაც კლასიკური მუსიკით დაინტერე- სებული სტუდენტები გაერთი- ანდნენ. ახლახან სწორედ ამ ახ- ალგაზრდების მონაწილეობით „ნითელ დარბაზში“ გაიმართა კონცერტი, სადაც ცნობილი კლასიკოსების: ბეთჰოვენის,

სკოლის ხელმძღვანელმა, ბა- ტონმა გოდერძი ჩიტაიშვილმა, ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, ეს კონცერტი პირველი მცდელობა იყო მათი მხრიდან მსმენელის წინაშე წარმდგარიყვნენ კლა- სიკოსების ნაწარმოებებით; მო- მავალში მსგავსი კონცერტები ტრადიციად დამკვიდრდება და კიდევ უფრო მრავალფეროვანი პროგრამით დაიტვირთება.

კონცერტს ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები - თბილი- სის სახელმწიფო კონსერვა-



წარმოაჩინონ თავიანთი შესა- ძლებლობები და, მეორე მხრივ, მსმენელი კიდევ ერთხელ დიდ სიამოვნებას მიიღებს ცნობილი კლასიკოსების ნაწარმოებების სხვადასხვაგვარი შესრულებით.

ნატო ბოლქვაძე

sportul i cxovreba

ნარმატაბული ჩემპიონატი



სტუდენტთა საერთაშორისო დღეს მიიქმენა პირველკურსელთა ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელიც მიზნად ისახავდა, საუნი- ვერსიტეტო ჩემპიონატისთვის მერჩეულიყვნენ ფეხბურთელები და გამარჯვებულთაგან 3 გუნდს მონაწილეობა მიეღო თსსუ-ის მინი-ფეხბურთის ჩემპიონატში.

მინი-ფეხბურთის ჩემპიონატ- ში კი მონაწილეობა მიიღო 20-მა გუნდმა, რომელიც 4 ქვეჯგუ- ფად დაიყვნენ და, შესაბამისად, შეიქმნა ხუთგუნდიანი ჯგუფები.

სებული სხვადასხვა პრიზი შემ- დგენიარად განაწილდა, კერძოდ, საუკეთესო მოთამაშის პრიზი დაიმ- სახურა გიორგი გოგიძემ, საუკეთე- სო მეკარისა - რევაზ მანჯგალაძემ, საუკეთესო ბომბარდირი გახდა გიორგი პაიჭაძე, საუკეთესო მცვე- ლად დაასახელეს დავით შამათავა და ყველაზე ტექნიკური მოთამაშის პრიზი გიორგი ჭუმბურიძემ დაიმ- სახურა.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტურ სპორტს სამედიცინო უნივერსიტეტ- ის ხელმძღვანელობა დიდ თანად- გომას უცხადებს და ყოველთვის მხარში უდგას, რისთვისაც მადლო- ბის სიტყვებით აღვნიშნავთ მათ მხ- არდაჭერას - დიდი მადლობა რექ- ტორს, ბატონ ზურაბ ვადაჭკორიას, კანცლერს, ბატონ ზურაბ ორ- ჯონიკიძეს, სტუდენტური თვითმ- მართველობის პრეზიდენტს, გიგა



პირველ-მეორე ადგილზე გასულმა გუნდებმა მოიპოვეს მეოთხედფი- ნალის საგზურები. ნახევარფინალ- ში დამარცხებულებმა ითამაშეს მესამე ადგილისთვის, ფინალში კი ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ყველაზე გამორჩეული გუნდი - ფიზიკური მედიცინისა და რე- აბილიტაციის ფაკულტეტის გუნდი - „რეაბილიტაცია“ და მედიცინის ფაკულტეტის გუნდი - „რეა- მადრიდი“. ფინალური შეხვედრა ძალზე დაძაბული გამოდგა, მიუხე- დავად „რეა-მადრიდის“ დიდი მონდომებისა და შექმნილი საგოლე მომენტებისა, მათ ვერაფრით შე- ძღვს მეტოქის კარში ერთ გოლზე მეტის გატანა, მეტოქემ - „რე- აბილიტაციამ“ - კი მათ კარში სამი ბურთი გაიტანა და ჩემპიონობა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ „რე- აბილიტაციამ“ ნახევარფინალში დაამარცხა შარშანდელი ჩემპიონი, უდავოდ ძლიერი გუნდი „ზევის“, რომელიც ამ ჩემპიონატში მესამე ადგილს დასჯერდა.

აღნიშნულ ჩემპიონატზე დაწე- სორიდას, ასევე, მადლობა გვინდა გადავუხადოთ თსსუ-ის კულტურ- ისა და სპორტის ცენტრის ხელმძ- ღვანელობას, დირექტორს, ბატონ ზაურ ფხალაძეს, ცენტრის ფეხბურ- თელთა ნაკრები გუნდის მწვრთ- ნელს, ბატონ ვახტანგ ბაქანიძეს, რომელთაც ყველაფერი გააკეთეს ტურნირის მაღალ დონეზე და ორ- განიზებულად ჩატარებისთვის. ჩემპიონატის დამთავრებისთა- ნავე მსაჯთა კოლეგიამ და უნივერ- სიტეტის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა შეარჩიეს ფეხბურ- თელები, რომელთაც დაკომპლე- ქტდა უნივერსიტეტის ნაკრები გუნდი. ისინი ამჟამად სანვრთელ მეცადინეობებს გადიან - „ქა- რიშხალას“ კომპლექსის სპორტულ დარბაზში და საქართველოს საუნი- ვერსიტეტო სპორტის ფედერაციის მიერ დაგეგმილ შეხვედრაში უმაღ- ლეს სასწავლებლებს შორის მიიღე- ბენ მონაწილეობას.

თორნიკე გოგიანიშვილი, მედიცინის ფაკულტეტის მეო- რე კურსის სტუდენტი

2011 - სპორტული მიღწევების წელი



ნარმოდგენას გვიქმნის საუნივერ- სიტეტო სპორტული ცხოვრების მრავალფეროვნების შესახებ. თბილისის სახელმწიფო სამედი- ცინო უნივერსიტეტის სტუდენტები მიმდინარე წლის საქართველოს სტუდენტური უნივერსიადის ჩემ- პიონები და ოქროს 5, ვერცხლის 18,

ბრინჯაოს 13 მედლის მფლო- ბელნი გახდნენ. მომავალმა ექიმებმა თავი გამოიჩინეს „სტუდენტუ- რი დღეების“ მასშტაბით ჩატარებულ ჩემპიონატში ქაღარაკსა და მაგიდის ჩოგ- ბურთში, მკლავ- ჭიდში, ნარდას და სტრიტბოლში. თსსუ-ის სტუდენტები აქტიუ- რად მონაწილეობდნენ კუს ტბაზე საქართველოს პირველი ლედის პა- ტრონაჟით ჩატარებულ აქცია-მარა- თონში - „სიცოცხლის გადასარ- ჩენად“.

სპორტული ფესტივალში, რო- მელიც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ეგიდით ჩატარ- და, სამედიცინო უნივერსიტეტის გოგონებმა მაგიდის ჩოგბურთში პირველი, ხოლო ფრენბურთში ვაჟებმა მეორე საპატიო ადგილი მოიპოვეს. სპორტისა და ხელოვნების ფეს- ტივალში, ქართველ სტუდენტებთან ერთად, უცხოეთიდან ფაკულტეტის სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. სპორტის 5 სახეობაში პროფე- სორ-მასწავლებელთა და თანამშ- რებელთა შორის ჩატარებულ შეჯი- ბრში პირველი ადგილი მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენლებმა, მეორე - ფარმაცევტებმა, მესამე კი სტომატოლოგებმა მოიპოვეს. უნივერსიტეტის პირადი პირე- ელობა სტუდენტებს შორის ქაღარაკ- ში - მედიცინის ფაკულტეტის სტუ- დენტის - გიორგი ცხვარიაშვილის, მაგიდის ჩოგბურთში - სტომა- ტოლოგიური ფაკულტეტის სტუ- დენტის - დავით ლავთაძის, ნარდში - ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტის - ნიკოლოზ ლოკვაძის გამარჯვებით დასრულდა. შიდა საუნივერსიტეტო ჩემ- პიონატი ჩოგბურთში რუსუდან გა- ვაშელმა და თორნიკე სუფაშვილმა მოიგეს. ფარმაციის ფაკულტეტის სტუ- დენტი სოფო ნაცვლიშვილი გახდა გამარჯვებული საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედ- ერაციის და კომპანია „რომპეტრო- ლის“ ეგიდით ჩატარებულ შეჯი- ბრში. ახალ გამარჯვებებსა და წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს სტუდენტებს, პროფესორ-მას- წავლებლებს, თანამშრომლებს სპორტულ ასპარეზზე. ემრავლოს ოქროს, ვერცხლს, ბრინჯაოს, უმ- რეტ ენერჯისა და შემართებას!

დარეჯან კომლაძე